ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 13 08 2019 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის
ბრძანება № 25

2019-2020 სასწავლო წელს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ჩარიცხულ სტუდენტთათვის სწავლის შეღავათიანი პირობების განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. აბიტურიენტი, რომელიც მოიპოვებს ნებისმიერი ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტს და თავის განცხადებაში პირველ, მეორე ან მესამე ნომრად მიუთითებს უნივერსიტეტის ქვემოთჩამოთვლილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს:

ა) კომპიუტერული მეცნიერება;
ბ) ფსიქოლოგია;
გ) ტურიზმის ბიზნესი;
დ) ბიზნესის ადმინისტრირება;
ე) სამართალი;
ვ) საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები;
ზ) ეკონომიკა;
თ) ისტორია;
ი) ქართული ფილოლოგია.

2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ისარგებლებს ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული ფინანსური მხარდაჭერით.

2. 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ამ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ჩარიცხული სტუდენტები ისარგებლებენ შემდეგი ფინანსური მხარდაჭერით:

ა) სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს 100% სახელმწიფო სასწავლო გრანტს დაენიშნება ყოველთვიური სტიპენდია 125 ლარის ოდენობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით;

ბ) სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს 70% სახელმწიფო სასწავლო გრანტს უნივერსიტეტი დაფარავს მისი სწავლების სემესტრული საფასურის დარჩენილ 30%;

გ) სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს 50% სახელმწიფო სასწავლო გრანტს უნივერსიტეტი დაფარავს მისი სწავლების სემესტრული საფასურის 20%.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული სტუდენტები ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობას მომდევნო სემესტრში გააგრძელებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი წინა სემესტრში, თითოეულ სასწავლო კურსში იქნება არანაკლებ 81 ქულისა.

4. საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოს დაინტერესებული პირებისთვის ბრძანების გაცნობის უზრუნველყოფა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ქორეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + ფიოგ

THE FIRST-CALLED GEORGIAN UNIVERSITY OF PATRIARCHATE OF GEORGIA
205233022